N გ-20-08/4047
07/12/2020

4047-გ-20-08-2-202012071649

შპს „სქაიტელს“ (ს/კ 400013748)

შპს „MAXNET“-ს (ს/კ 439393390)

შპს „თრიალეთი-ნეტს“ (ს/კ 417882802)

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 10 დეკემბერს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში: „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება საკითხი „შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ის და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენაზე, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 65%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის განხილვის შესახებ“.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომაზე.

პატივისცემით,

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია